"Safety Academia" აცხადებს ვაკანსიას **სასწავლო პროცესისა და ხარისხის მართვის მენეჯერის** პოზიციაზე. აკადემიას ეძებს მოტივირებულ და ორგანიზებულ კანდიდატს, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესების ეფექტურად დაგეგმვას, კოორდინაციას და მონიტორინგს.

სამუშაო პირობები:

სამუშაო ადგილი: თბილისი
სამუშაო გრაფიკი: სრული განაკვეთი
სამუშაო საათები: 09:00-დან 18:00-მდე
დასვენება: შაბათ-კვირა

ძირითადი მოვალეობები და ფუნქციები:

<u>ხარისხის მენეჯერი:</u>

- ხარისხის მართვის შიდა სისტემების დაგეგმვა, დანერგვა და მონიტორინგი.
- საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის უზრუნველყოფა კანონმდებლობასთან და ავტორიზაციის/აკრედიტაციის მოთხოვნებთან.
- მონაცემების ანალიზი და გაუმჯობესების ინიციატივების წარდგენა.
- შიდა აუდიტების ორგანიზება და განხორციელება.
- თანამშრომელთა ინფორმირება ხარისხის სტანდარტების შესახებ.

<u>სასწავლო პროცესების მართვის სპეციალისტი:</u>

- სასწავლო გრაფიკებისა და განრიგების დაგეგმვა და განახლება
- სტუდენტებისა და ლექტორების ადმინისტრაციული მხარდაჭერა
- სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მართვა
- აკადემიური კალენდრის მონიტორინგი და პროცესის შეუფერხებელი წარმართვის უზრუნველყოფა
- კოორდინაცია აკადემიურ და ადმინისტრაციულ გუნდებთან
- ანგარიშგებების მომზადება ხელმძღვანელისთვის

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება (სასურველია განათლების მართვის ან ხარისხის მართვის მიმართულებით)
- მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება სასწავლო დაწესებულებაში.
- განათლების ხარისხის მართვის სამართლებრიბი ჩარჩოს ცოდნა
- ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარი
- გუნდურად მუშაობის უნარი და ეფექტური კომუნიკაცია.

პიროვნული თვისებები:

- პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა;
- პუნქტუალურობა;
- კომუნიკაბელურობა;
- როგორც დამოუკიდებლად, ასევე გუნდური მუშაობის უნარი;
- ენერგიულობა;
- სტრესულ სიტუაციებში მუშაობის უნარი.

ჩვენ გთავაზობთ შემდეგს:

- პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება.
- მაღალი თვით რეალიზაციის მიღწევის საშუალება.
- სტაბილური და მზარდი ანაზღაურება.
- მეგობრული სამუშაო გარემო;
- Fitpass.

დაინტერესებულმა პირებმა გთხოვთ, გადმოაგზავნოთ თქვენი CV ელფოსტაზე hr@safetyacademia.edu.ge

გთხოვთ, ელექტრონული წერილის თემაში (Subject) მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება.

ჩვენს შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ საიტებზე – www.safetyacademia.ge და www.safetyacademy.ge